



# მრავალკუთხედიანი, ენა ქართული!



იმ დღეს ღვთისმშობლის სახელით გაჯერებული დიდი იაკობ გოგებაშვილის მდილი ზეობდა ხარაგაულის N3 საჯარო სკოლის პირველკლასელებთან (სკოლის დირექტორი მარინე ხვედელიძე, მასწავლებელი ნანა კვიციანი). ღვთისმშობლის სახელით იყო აღმკურნელები მათი პატარა გულბები მათ ხომ დიდი ბედნიერება ენათ - გახდნენ შეუდარებელი საგანძურის - თავანკარა ქართული ანბანის სრული „პატრონები“, ტვილიქართულის 33 ასო-ბგერა უკვე მათი „საკუთრებაა“, რომლითაც ისინი ზეზარს მიუახლოვდნენ. ამიერიდან მათ ძალუძთ, ასაკის შესაბამისად იკითხონ ქართული და მსოფლიო ლიტერატურის შედეგები: „ბიბლია“ და ფსალმუნები, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ და „ვეფხისტყაოსანი“, „დავითიანი“ და „სობრძენე სიცოცხლისა“, „მერანი“, „სულიკო“, „ბაბტრონი“, „მშობლიური ჩემი მიწა...“ და ყველაფერი ის, რაც გააფრთხილებს მათ სულს, სხვაგვარად აგრძნობინებს ქართული მზისა და მინის მადლს, გაუძლიერებს სიამაყის გრძობას, რომ ისინი მსოფლიოს ტერიტორიით პატარა, მაგრამ კულტურითა და ისტორიით ერთ-ერთი გამორჩეული ერის შვილები, ქართველები, არიან!

\*\*\*

კედელს ამშვენებს უმშვენიერესი აბლიკაცია - „მზე 33 სხივით“, რომელზეც მოსწავლეები ყოველ შესწავლილ ასოს ანებებდნენ ანბანის თანმიმდევრობით. აქვეა ფოტოკოლაჟი -

„იხი იხი გაყოლებულ პატარა თითებს უფლის ნინაზე სალოცავი ქართული ჰქვია!“ კლასის თითოეული მოსწავლის სურათს ახლავს მათგან დიდი მონდომებით ქართული ასოებით ჩანერილი სამომავლო მიზნები: მარი ეფრე ბაძესა და ნინო ლურსმანაშვილს მასწავლებლობა აინტერესებთ, გიორგი ასათიანი და გიორგი მაჭავარიანი პოლიციის უფროსობაზე ოცნებობენ, რევაზ ჩუბინიძე ლამაზ სახლებს აგვიგებს, გიორგი ჩუბინიძე მფრინავი გახდება, ხოლო ნუგზარ ეფრე ბაძე ხანძარს აგვაშორებს თავიდან...  
სცენარი იყო დახვეწილი და ფაქიზი გემოვნებით შექმნილი. მასში არაფერი იყო შაბლონური, გაცვეთილი, სულში საამოდ იღვრებოდა ყოველი ფრაზა, ყოველი სტრიქონი, რომელიც ერწყმოდა თანამედროვე ტექნოლოგიურ საშუალებებს. მას ხომ საუკეთესოდ ფლობს პირველკლასელთა მასწავლებელი, ქალბატონი ნანა კვიციანი.

მასწავლებლისა და მოსწავლეების ზეპირმეტყველება ქმნიდა მათ შორის ბუნებრივ კავშირს. გოგონები და ბიჭუნები ავლენდნენ შესატყვის

ცოდნას, უმეტესოდ, მხატვრული გაზარებით ნარმოთქმადნენ ლექსებს. „ანბანთქებაში“ მათი ფიქვაცა ერთ თავს იბრუნებდა 33-ე ასო ანიდან ჰომედ... ქართული ენის სრულყოფილების, მისი მდიდარი შესაძლებლობების, სიტბო-სიამაყის გამოსხივების ძალით იყო სცენარში ჩართული ირანის შაჰის მიერ მოწყობილი შეჯიბრი. შაჰი ინტერესით უსმენდა მონაწილეთ. ბოლოს კი ნიშნის-გებით მიმართა ქართული ენის წარმდგენ იაკობ ცურტაველს: ამბობენ, ალექსანდრე მაკედონელი საყვარელ მანდილოსანთან სოლომონ ბრძენის ენაზე საუბრობდა, მტერთან - სპარსულ ენაზე, ღმერთთან - ელინთა ენაზე, მოყვარესთან - ესპანურად, ქართული კი არ იცოდა!?

- მაგრამ მას, რომ სცოდნოდა ქართული, ის იპოვიდა მასში სოლომონ ბრძენის ენის სიტკბოს, სპარსულის ძალას, ელინურის კეთილზმევანებას, ესპანურის მუსიკას, შუმერულის სილამაზესა და ხეთურის სიდიადეს, - თქვა ცურტაველმა.

- დედაცა ჯადოსნურ სკივრში მოთავსებული უდიდესი საგანძურია, აღნიშნავს ნანა მასწავლებელი, რომელსაც ორი ხმოვნისაგან ჩამოსხმული სიტყვა, ჩამოსხმული ოქროს გასაღები ადევს. ეს გასაღებია „იი აი“.

ამ გასაღებით ყველას შეუძლია, გახსნას ეს სკივრი და ისარგებლოს შიგ სათუთად ჩანყოფილი თვალ-მარგალიტით, ქართული ანბანით.

„იი აი“ ქართველთა სულის პოეზიაა, რომელსაც შემდგომ უფრო დიდი - ილიას, აკაკის, ვაჟის, გოგელასა და გალაკტიონის პოეზია დაემთხვა.

სტუმარ-მასპინძელი მოიხიბლა მხატვრულ დეკორაციასთან ერთად მშობლიური ენის სილამაზეზე აფერებულ მელიქობით.

\*\*\*

ეს იყო ნანა მასწავლებლის 2014-2015 სასწავლო წლის ერთი „მოსავალი“, რომელიც იყო უხვი და ბარაქიანი. დაე, მათი ცოდნის ხსენებამ გავლენა უნდა მოახდინოს მოსწავლეებზე უფრო მეტი სიზუსით დატვირთული მოსავალი. ამის იმედს კი ნამდვილად იძლევა ნანა მასწავლებლის პასუხისმგებლობა, საქმის სიყვარული, მოსწავლეთა შემართება-გაპყვნენ ცოდნის სამედიტაცია. ეს გზა კი მათ უეჭველად მიიყვანს ტყაპართან-გაიზრდებიან კარგი მოქართულები, ჭეშმარიტი პატრიოტები.

საანბანო ზეიმმა, მისმა მიზანმიმართულმა შინაარსობრივმა დატვირთვამ, ერთხელ კიდევ ცხადყო ნანა მასწავლებლის უმთავრესი სათქმელი - იაკობ გოგებაშვილის ბრძნული მეგობრები:

„სადაც კი ჭეშმარიტის განათლების ლამპარი დანთებულა, დედა-ბოძად მას ჰქონია და აქვს დედაცა, სწავლება დედაცა, როგორც საუკეთესო ღონე გონების განვითარებისა და ცოდნის მექანიზმია.“

ამ ჭეშმარიტებას ერთხელ კიდევ გაუსვეს ხაზი ზეიმის დასასრულს მასწავლებლებმა: ვენერა კიკნაძემ და მერი გიორგიძემ, როცა მათ ჯეროვნად შეაფასეს მასწავლებელ-მოსწავლეების ურთიერთობის ტკბილი ნაყოფი და სამომავლო წარმატებები უსურვეს მათ.

... და ბოლოს მოსწავლეთა შეერთებულ-შეხმატკბილებული ხმებით კვლავ შეესხა ხოტბა მშობელ დედასავით უსაყვარლეს ქართულ ენას:

„ხოტბა შევასხათ მშობლიურ ენას, გვიყვარდეს, როგორც მშობელი დედა! მრავალჯამიერ, ენა ქართული, მრავალჯამიერ, დიდება შენდა!“

მერი ბიორგიძე

# სახარბაშის პინოთეპაზუნი ფოლკლორული კონსერტი - „ვაზაშვილი წაგზავნა“ გაიყვანა



ბევრი ემოცია, ტაში, სიტბო, ქართული ეროვნული სულისკვეთება და დიდი სიყვარული - ასეთი ემოციებით დასრულდა 17 მაისს, ხარაგაულის კინოთეატრში, ხალხური შემოქმედების სახლის მიერ წარმოდგენილი ფოლკლორული კონცერტი - „ვაზაშვილი წაგზავნა“. კონცერტში ხარაგაულის ა(ა)იპ „ხალხური შემოქმედების სახლის“ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „საუნჯე“ და ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „კახორი“ მონაწილეობდნენ. შემოქმედებით კონცერტზე „კახორის“ ომანიანი ხმებს „საუნჯის“ წვრილა ხმები ენაცვლებოდა, მაყურებელთა მხრიდან ასევე ოვაციები დაიმსახურა ხალხურმა ცეკვებმა, დიდი მონონება ხვდა წილად ზეპირსიტყვიერების წრის წევრების მიერ წარმოდგენილ კომპოზიციებს.

ანსამბლები „საუნჯე“ და „კახორი“ ქართული ფოლკლორის სიყვარულით, ქალბატონი დალი მალრადის ძალისხმევითა და მონდომებით ჩამოყალიბდა. ლობჯინაძე მათ მალრადე გახლავთ, ქორეოგრაფი-რომან ბუაჩიძე, ხოლო ზეპირსიტყვიერებას თამარ ავალიშვილი აყვარებს ანსამბლის წევრებს.

ლონისძეებს ესწრებოდნენ საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ოფიციალური წარმომადგენლები და ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელი პირები: მუნიციპალიტეტის გამგებელი კობა ლურსმანაშვილი, ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი ნოდარ ებანიძე, საკრებულოს თავმჯდომარე ინგა მალრადე.

კონცერტის დაწყებამდე ხალხური შემოქმედების სახლის დირექტორმა დალი მალრადემ, ანსამბლ „კახორისა“ და „საუნჯის“ მიღწევებზე ისაუბრა.

ამ დღეს „ხალხურის შემოქმედების სახლის“ შემოქმედების მიმართ, დიდი მონონება გამოთქვას, როგორც მოწვეულმა სტუმრებმა, ისე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა:

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის კობა ლურსმანაშვილის განცხადებით, ხარაგაულში ასეთ სახელგანთქმულ ანსამბლებს ადგილობრივი ხელისუფლებისგან უფრო მეტი ხელშეწყობა ექნებათ: „ხარაგაულში კულტურის სფერო წარმატებულია, რომელიც კიდევ უფრო მეტ ხელშეწყობას იმსახურებს, რათა მეტად წარმოაჩინონ თავიანთი შესაძლებლობები. სამსუხაროდ, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს არ აქვს იმის ფუნქციონირება, ფინანსურად უზრუნველყოს კულტურის სფეროში მოღვაწე ვაჭურები. თუმცა ფოლკლორის განვითარებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან მაქსიმალურად ვცდილობთ გამოვიყუთო თანხები. ვფიქრობ, ჩვენი და ფოლკლორული ანსამბლების ხელმძღვანელების მცდელობებით ისახებოდა. დღეს კიდევ ერთხელ დაერწმუნდით,

# „ვაზაშვილის ფესტივალი“ მუზეუმში



სამუშაოებზე. 2014 წელს ხარაგაულის ისტორიულმა მუზეუმმა (დირექტორი ნინო დიდიძე) ა. ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო-მისათან ხელშეკრულება გააფორმა. რესტავრაცია - კონსერვაცია ჩაუტარდა 44 ექსპონატს, აქედან: არქეოლოგია- 5; კერამიკა-3; ეთნოგრაფია-2; გრაფიკა-25; ფერწერული ტილო -9. განახლებული ნამუშევრები შთამბეჭდავად გამოიყურებიან.

სარესტავრაციო ექსპონატების შესარჩევად მუზეუმში ა. ქუთათელაძის სახ. სამხატვრო აკადემიის რესტავრაციის მიმართულების ხელმძღვანელი, სრული პროფესორი, ნანა კუპრეიშვილი იყო ჩამოსული.

ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმში ამ დღისთვის სამზადისი მიმდინარე წლის დასაწყისიდანვე დაიწყო. მუზეუმის თანამშრომლებმა ძალ-ღონე არ დაიმშრეს, რათა დამთავორებული სახლის მეტი სიახლე შეეთავაზებინათ... სხვადასხვა სახის ღონისძიებები სადამის ექსპოსაითიდან მოეწყო. ახალგაზრდა შემსრულებლებმა „გააცოცხლეს“ რ. სტურუას ნახატი „ესპანური ცეკვა“ (შემსრულებლები: ანა მარიქაძე, თამარ ჭიპაშვილი და სოფო შველიძე), საინტერესოდ დაიდა მხატვრის კომპოზიცია ო. სულავას „მღებავის“ მიხედვით (შემსრულებლები: ნიკო ნიკოლაური, ლაშა ბუნიაშვილი).

მუზეუმის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებს მხსაველი არავითხელ მოუხილავს. მალე იგეგმება ტრადიციად ქველმოქმედების ფესტივალიც.

მირანდა შავიძე

# ველოსიპედის საერთაშორისო დღე ხარაგაულში

20 მაისს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში „ველოსიპედის საერთაშორისო დღესთან“ დაკავშირებით რკინიგზის ხიდიდან საორტულ კომპლექსამდე ველოსიპედებით მსვლელობის აქცია მოეწყო. მსვლელობაში დაბის საჯარო სკოლის მოსწავლეები და მოხალისე პირვნებები მონაწილეობდნენ. აქციის მიზანი ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და ეკოლოგიურად სწავლა ტრანსპორტით სარგებლობის უსაფრთხოება იყო. აღნიშნული აქცია ხარაგაულის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ინიციატივით გაიმართა.

## აღეცხა

სოფელი რომ ქვეყნის ხერხემალია, კარგად ესმით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებობაში. ამჯერად ჩვენ მხოლოდ ერთ პროექტზე ვამხვილებთ ყურადღებას, რასაც მუნიციპალიტეტი უკვე მეოთხე წელია ახორციელებს და ამას მევე ნახებოდა, როგორც ისტორიულად ტრადიციული და რეგიონისათვის ადამტვირთული დარგის განვითარების პრაქტიკული ხელშეწყობა ჰქვია.

კიბის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე საცდელი სანამყენი მეურნეობა მდებარეობს, რომელიც მწვანე ციციკის ვაზის ნერგების მცნობა - გაუმწვანოთა სპეციალიზირებული. მეურნეობის ხელმძღვანელები დარგის გამოცდილი სპეციალისტები, ოუზა კელაქერიძე და ამირან ოქრომჭედლიძე არიან. მათი უშუალო მონაწილეობითა და მუნიციპალიტეტის გამგებობის ხელშეწყობით, ცოტა ხნის წინ, ხელმოკლე, სოციალურად დაუცველ, გამრჯე მევენახეებს აღნიშნული ვაზის ნერგები უსასყიდლოდ გადაეცათ.

მათი ნერგები მიმდინარე წლის სეზონზე მიიღეს, დარგეს და უკვე გახარებულ ნერგებს ყურადღებას არ აკლებენ - ილარიონ სხილაძე და ოლეგი ბერაძე სოფელ ლახუნდარიდან. გივი ხიჯაკაძე, შოთა სარალიძე და ზურაბ ხიჯაკაძე სოფელ ვარძიიდან.

ამოდრავდნენ მევენახეები, ხალისით აკეთებენ საშვილობილო საქმეს, ეფერებიან ვაზს, პროექტის შემდგომი გაფართოება-განვითარება, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ადამიანთა დასაქმებას სოფელში. თუ ყველაფერი ამას სპეციალიზირებული პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის გახსნაც დაემტკიცება, ხომ უკეთესი. ეს ის პროექტებია, რომელიც სოფელში ახალგაზრდების დამაგრებას უწყობს ხელს.

მადლობა მათ, ვინც ასე სერიოზულად ფიქრობს ჩვენს სოფელზე.  
მხეპაძლე ხნიშაპაძე - გამგებლის წარმომადგენელი ვარძიის ადმინისტრაციულ ერთეულში  
რევაზ სხილაძე - სპეციალისტი

## მე მიყვარს ჩემი ბიბლიოთეკა

მარელოსის სასოფლო ბიბლიოთეკა 20 წლის მანძილზე გაუქმებული იყო. თუმცა ამ ხნის განმავლობაში ადგილობრივები ნივნებით მინც სარგებლობდნენ. ბიბლიოთეკას ქალბატონი ნაილი მალრადე უანგაროდ ემსახურებოდა. იგი ძალ-ღონეს არ იშურებდა იმისათვის, რომ სოფელს ბიბლიოთეკა შეერჩენოდა და ჩვეთავის საჭირო ლიტერატურა ხელმისაწვდომი ყოფილიყო.

2015 წლის იანვარში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის კობა ლურსმანაშვილისა და ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორის ნიკოლოზ მაჭავარიანის ინიციატივით, მარელოსის ბიბლიოთეკა აღდგა და, დღეს, ის კვლავ ერთვულად ემსახურება მკითხველს. ამ დღეებში სოფელში მომინა ჩამოსვლა. მინდოდა მონაწილეობა მიმელო საბიბლიოთეკო კვირეულში, მაგრამ კვირეულისადმი მიძღვნილი ღონისძიება ჩატარებული დამხვდა. გული არ მწყდება, რადგან 11 მაისს ახალგაზრდები კვლავ შევიკრიბეთ ბიბლიოთეკაში და კვირეულის დახურვა აღვნიშნეთ. ჩვენთან ერთად მარელოსის საჯარო სკოლის ბიბლიოთეკარი, ეკა მალრადე და აქტიური მკითხველები: შურად ცისკაძე და ვანო მალრადე იმყოფებოდნენ. მარელოსში ჩატარებულმა საბიბლიოთეკო კვირეულმა ცხადყო, რომ ღონისძიებას დადებითი ეფექტი აქვს მაშინ, როდესაც მასში სხვადასხვა კატეგორიის მკითხველები მონაწილეობენ. მარელოსის ბიბლიოთეკა ამ კუთხით ნამდვილად გამორჩეულია. მინდა მადლობა გადავუხადო ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, ბიბლიოთეკის ერთვულ მსახურს, ნაილი მალრადესა და სოფლის მოსახლეობას, რომლებმაც დიდი აქტიურობა გამოიჩინეს ბიბლიოთეკის შენარჩუნებისა და აღდგენისათვის.

თინათინ მალრადე

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-3 კურსის სტუდენტი

# ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ანგარიში განეული მუშაობის შესახებ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახური წარმოადგენს გამგეობის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს გამგეობის დებულების, ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის დებულების და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

სამსახურის ფუნქციები: მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის პოლიტიკის შემუშავება, დარგების რეგულირება და კოორდინაცია. მუნიციპალიტეტში არსებული ინფრასტრუქტურული ობიექტების შესწავლა, მათი რეაბილიტაციის საკითხის განსაზღვრა და ახალი ინფრასტრუქტურული ობიექტების (ადგილობრივი მნიშვნელობის გზების და ხიდების, გარე განათების, სანიაღვრე მუშაობების, მუნიციპალიტეტის გამგეობაში არსებული კომუნიკაციების შექმნის კოორდინაცია, ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტების მომზადება და მათ განსახორციელებლად რეკომენდაციების შემუშავება, ტერიტორიის დასუფთავების ნარჩენების გატანის და უტილიზაციის საკითხები, სასაფლაოს მოვლა პატრონობის საკითხებზე წინადადებების შემუშავება, გარე ვაჭრობისა და გარე რეკლამის საკითხების რეგულირება) მშენებლობის კოორდინაცია. ასევე დებულებით განსაზღვრული სხვა უფლება მოვალეობების შესრულება. ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახური კოორდინაციას უწევს რეაგონირებად დაფინანსებული პროექტების განხორციელებას, სოფლის მხარდაჭერის პროგრამისათვის გამოყოფილი თანხის განაწილებას და მოსახლეობის მიერ შეჩვენებული პროექტების განხორციელების კოორდინაციას, ასევე ადგილობრივ ბუჯეტში ინფრასტრუქტურული ობიექტებისათვის განსაზღვრული თანხით პროექტების შემუშავებას და მათი განხორციელების კოორდინაციას.

საქართველოს მთავრობის განკარგულებაში 2014 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტს გამოეყო 2 009 883 ლარი. აღნიშნული თანხით მუნიციპალიტეტში დაიგეგმა და განხორციელდა შემდეგი ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია:

N	პროექტის დასახელება	გამოყოფილი თანხა	სახელმწიფო რეგულირება თანხა	ფაქტიური შესრულება (ლარი)	დანაზოგი	დასრულების თარიღი
1	კიციხი-ხიდარის გზის რეაბილიტაცია	373 000	373 000	355 165	395	07.07.2014
2	სოფ. ხიდარში საბავშვო ბაღის მშენებლობა	123 476	105 777	101 661	17 699	11.08.14
3	ვარძია-წყალაფორეთის გზის მოსაფალტება	421 420	421 420	400 115	0.00	05.07.2014
4	ხარაგაული ფარცხნალის გზის მოსაფალტება 2.1კმ	382 900	382 900	375 596	0.00	07.07.2014
5	გარე განათება ხარაგაული-საქარქელი 4კმ; სილარი-ფარცხნალი 1კმ; ბორითი-მაკათუბანი;	57 817	57 817	57 367	0.00	11.06.2014
6	ბორითის საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაცია;	180 608	165 799	164 669	14 809	30.08.2014
7	ნავაგზიდი მანქანის შექმნა 5კმ ტივადობით	140 000	140 000	140 000	0.00	31.10.2014
8	ნავის კონტინერები 50 ცალი	30 000	29 500	29 500	500	10.10.2014
9	მაქათუნის ხიდის დასრულება	49 000	49 000	48 000	0.00	30.12.2014
10	საბავშვო ბაღებისათვის ინვენტარის შექმნა	64 823	60 626	60 626	4 197	25.12.2014
11	სოფ. წყალაფორეთში საბავშვო ბაღის მშენებლობა	117 463	108 219	101 555	9 244	13.12.14

საპროექტო სახარჯთაღრიცხვო სამუშაოებისათვის 68 981 ლარი. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტს მთავრობის განკარგულებაში გამოეყო 770 163 ლარი. აღნიშნული თანხის ფარგლებში მომზადდა და განხორციელდა 200 ინფრასტრუქტურული პროექტი. პრიორიტეტული მიმართულებები იყო:

N	პროექტის დასახელება	პროექტის რაოდენობა	დახარჯული თანხა
1	სასმელი წყლის სისტემა	55	93,662
2	გზები	55	253,287
3	სარიტუალო სახლების მონყობა აღჭურვა	33	269,741
4	ნისქვილის რეაბილიტაცია	10	13,195
5	თავშეყრის ადგილი, მოსაცდელის მონყობა	8	23,116
6	ხიდები, ხიდბოგირები, ცხაურები	7	13,011
7	სანიაღვრე არხები	6	19,922
8	სასაფლაოს შემოღობვა	5	4,850
9	საკანალიზაციო სისტემა	4	21,440
10	გარე განათება	4	5,500
11	კულტურის და ადმინისტრაციული შენობების რეაბილიტაცია	4	21,735
12	ტრაქტორების, სატრანსპორტო საშუალებები, სპეც.ტექნიკა	3	20,844
13	სხვა პროექტები	6	9,860

ინფრასტრუქტურის სამსახურისა და პროექტებში ჩართული სხვა სამსახურების მონაწილეობის შესახებ

ხურების (ზედამხედველობისა და არქიტექტურის, საფინანსო საბიუჯეტო) და შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლების ძალისხმევით, მოსახლეობის მიერ პრიორიტეტად მიჩნეული 200-ზე პროექტი დასრულდა შეუფერხებლად სახელმწიფო რეგულირებად ვადებში. ინტერესიდან გამომდინარე საპროექტო მიმდინარეობის პროცესში და ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების საკითხში ფართოდ იყო ჩართული შესაბამისი სოფლების საზოგადოებრივი მონიტორინგის ჯგუფები. შეიძლება ითქვას რომ პროექტების აბსოლუტური უმრავლესობა მაღალხარისხიანად შესრულდა, იყო რამოდენიმე შემთხვევა სადაც მენარჩევს მოუხდათ ხარისხის გამოწერება შესაბამისი მითითების შემდეგ.

მუნიციპალიტეტში 2014 წელს ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით განხორციელდა სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტები: პრიორიტეტული მიმართულებები იყო: 1.სასოფლო და საუბნო გზების შეკეთება - 95 385 ლარი; 2.შენობის რეაბილიტაცია 3 პროექტი - 18 576 ლარი; 3.ბალები 2 პროექტი - 49 191 ლარი; 4.ხიდბოგირები 3 პროექტი - 15 933 ლარი; 5.წყალმომარაგება 1 პროექტი - 4 499 ლარი; 6.მრავალბინიანი სახლები-27 500 ლარი; 7.სანიაღვრე არხები-8 600 ლარი; 8.კულტურული ობიექტები-67 800 ლარი; 9.ადმინისტრაციული შენობები-51 400 ლარი; 10.სხვა პროექტები — 81 955 ლარი;

ზოგადად 2014 წელი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მხრივ ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის საკმაოდ წარმატებული იყო. მუნიციპალიტეტმა აღნიშნული კუთხით რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტებს შორის მონაწილე პოზიციები დაიკავა.

2015 წლისათვის რეაგონის სამონედო გეგმის ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 8 დღი ინფრასტრუქტურული ობიექტის განხორციელება დაიგეგმა:

- 1.ხარაგაული-ბახალეთის გზის რეაბილიტაცია სატენდერო თანხა- 642 357 ლარი;
- 2.ზეარის ახალგაზრდული ბანაკის მონყობა გამოყოფილი თანხა - 300 000 ლარი;
- 3.კიციხი ხიდარის გზის რეაბილიტაცია სახელმწიფო რეგულირება- 683 698 ლარი;

- 4.დაბა ხარაგაულში მშენებარე საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება სახელმწიფო რეგულირება-38 791;
- 5.დაბა ხარაგაულში ცენტრალური ბიბლიოთეკისათვის არსებული შენობის რეაბილიტაცია სახელმწიფო რეგულირება - 83 950 ლარი;
- 6.დაბა ხარაგაულში მშენებარე საავადმყოფოსა და მისი მიმდებარე ქუჩების დეველოპინგი, გურამიშვილი და ჭიპაშვილი წყალმომარაგების სისტემის მონყობა-200 000 ლარი;
- 7.დაბა ხარაგაულში არსებული ღია ესტრადისა და ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია გამოყოფილი თანხა- 450 000;
- 8.პრიორი-მარიაწყარო-ლორემის გზის რეაბილიტაცია გაფორმებული კონტრაქტის ღირებულება-120 000 ლარი;

დღეის მდგომარეობით: ერთი ობიექტზე კიციხი-ხიდარის გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები ცუდი კლიმატური პირობების მიუხედავად სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს;

სამ ობიექტზე: ბორითი-მარიაწყარო-ლორემის გზის რეაბილიტაცია, ცენტრალური ბიბლიოთეკისათვის შენობის რეაბილიტაცია და დაბა ხარაგაულში მშენებარე საავადმყოფოს ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ხელმეორელება გამარჯვებულ კომპანიებთან გაფორმებულია და სამუშაოები უახლოეს დღეებში დაიწყება.

ხარაგაული-ბახალეთის გზის რეაბილიტაციის სამუშაოებზე გამარჯვებულმა კომპანიამ დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვა არ წარმოადგინა. ამჟამად მიმდინარეობს შედგენილი პროექტის განხორციელება და დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვა დაზუსტდება.

დაბა ხარაგაულში არსებული ღია ესტრადისა და ცენტრალური პარკის რეაბილიტაციისათვის თანხის გამოყოფის შესახებ საკითხი გადაწყვეტილია. უახლოეს დღეებში გამოცხადდება ტენდერი სამშენებლო სამუშაოებზე.

დაბა ხარაგაულში მშენებარე საავადმყოფოს და მისი მიმდებარე ქუჩების წყალმომარაგების სისტემის მონყობის საპროექტო სამუშაოები დასრულებულია.

ზეარის ახალგაზრდული ბანაკის მონყობის საპროექტო სამუშაოებზე ტენდერი გამოცხადებულია.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტს საქართველოს მთავრობის 12 მარტის N 506 განკარგულებით 2015 წლისათვის გამოეყო 767 473 ლარი. მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით ამ თანხიდან 157 473 ლარი გამოათუღია სოფელ კიციხეში საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობისათვის. 610 000 ლარი გადახანიდა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებისათვის რითაც განხორციელდება 124 ინფრასტრუქტურული პროექტი.

### პრიორიტეტული მიმართულებები:

N	პროექტის დასახელება	პროექტის რაოდენობა	დახარჯული თანხა
1	სასმელი წყლის სისტემა	16	57,700
2	გზები	30	153,700
3	სარიტუალო სახლების მონყობა აღჭურვა	33	198,100
4	ნისქვილის რეაბილიტაცია	6	21,700
5	თავშეყრის ადგილი, მოსაცდელის მონყობა	4	7,800
6	ხიდები, ხიდბოგირები, ცხაურები	5	15,000
8	სასაფლაოს შემოღობვა და კეთილმოწყობა	6	42,800
10	გარე განათება	3	27,500
13	სხვა პროექტები	21	85,700

ადგილობრივი ბიუჯეტიდან 2015 წელს ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის დახარჯება 325 000 ლარი.

### პრიორიტეტული მიმართულებები:

- 1.გზები-160 000 ლარი;
  - 2.ხიდები,ხიდ-ბოგირები-80 000 ლარი;
  - 3.სანიაღვრე დასაკანალიზაციო არხები, საყრდენი კედლები-10 000 ლარი;
  - 4.მრავალბინიანი სახლების რეკონსტრუქცია-50 000 ლარი;
  - 5.წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია-25 000 ლარი;
- ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახური კომპეტენციის ფარგლებში შესრულების და განხორციელებას შესაბამის რეაგირებად მუნიციპალიტეტის გამგეობაში შემოსულ მოქალაქეთა განცხადებებზე;
- ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ გატარდა შესაბამისი ღონისძიებები მუნიციპალიტეტის 35 ობიექტის გამრიცხველიანებისათვის თანხით 20 200 ლარი.

სამსახურის თანამშრომლები დებულებით განსაზღვრული უფლება მოვალეობის გარდა ჩართული არიან მუნიციპალიტეტის გამგეობაში არსებულ სხვადასხვა კომისიების მუშაობაში:

- 1.სახელმწიფო შესყიდვების კანონის შესაბამისად შექმნილ კონტროლის ჯგუფში;
2. სტიქიით დაზარალებულ მოქალაქეთა განცხადებების შემსწავლელ კომისიაში;

ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობს გამგეობის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან და საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვის და ინფრასტრუქტურის კომისიასთან, ინტენსიური ურთიერთობა აქვს სამხარეო ადმინისტრაციასა და რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან.

ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი, მალხაზ ფხაღაძე

## ანგარიში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საქითხთა კომისიის ანგარიში განეული მუშაობის შესახებ 2014 წლის 2015 წლის განვილი პერიოდში

კომისიამ მუშაობა დაიწყო 2014 წლის 30 ივლისს, როდესაც ჩატარდა პირველი სხდომა. კომისიის დებულების მიხედვით პირველ სხდომაზე შეიქმმა სამუშაო ჯგუფები.ჯანდაცვის საკითხთა სამუშაო ჯგუფი ,სოციალური უზრუნველყოფისა და დასაქმების საკითხთა სამუშაო ჯგუფი, სხდომაზე დამტკიცდა კომისიის სამუშაო გეგმა და სხდომების ჩატარების დღე და საათი. პირველი სხდომაზე ასევე მოსმენილია გამგეობის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის ანგარიში, განეული მუშაობის შესახებ. გასულ 2014 წელს სულ ჩატარდა 6 გეგმიური და 3 რიგგარეშე სხდომა კომისიის მიერ სხდომაზე 2014 წლის 25 აგვისტოს დამტკიცებული იქნა გამგეობისა და საკრებულოს ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურის დებულება. მოსმენილი იქნა სურსათის უვნებლობის მხრივ მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობა, რომელიც შეფასდა დადებითად. 2014 წლის 29 სექტემბერს კომისიამ მოისმინა ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ანგარიში განეული მუშაობის შესახებ წლის განვილი პერიოდში. კომისიის გადაწყვეტილებით ეთხოვა გამგეობას იმ ხარვეზების აღმოფხვრა, რომელიც არსებობს რამდენიმე სასოფლო ამბულატორიაში.

2014 წლის 12 ოქტომბერს გამართა კომისიის რიგგარეშე სხდმა, რომელზეც განხილულ იქნა დაბა ხარაგაულში ამბულატორიისა და საავადმყოფოსთვის ტერიტორიის შექმნა. კომისიის უზრუნველყოფის გადაწყვეტილებით შერჩეული იქნა ტერიტორია ჯანდაცვის მინიმალური სახელმწიფო რეგულირება-38 791; 5.დაბა ხარაგაულში ცენტრალური ბიბლიოთეკისათვის არსებული შენობის რეაბილიტაცია სახელმწიფო რეგულირება - 83 950 ლარი; 6.დაბა ხარაგაულში მშენებარე საავადმყოფოსა და მისი მიმდებარე ქუჩების დეველოპინგი, გურამიშვილი და ჭიპაშვილი წყალმომარაგების სისტემის მონყობა-200 000 ლარი; 7.დაბა ხარაგაულში არსებული ღია ესტრადისა და ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია გამოყოფილი თანხა- 450 000; 8.პრიორი-მარიაწყარო-ლორემის გზის რეაბილიტაცია გაფორმებული კონტრაქტის ღირებულება-120 000 ლარი; დღეის მდგომარეობით: ერთი ობიექტზე კიციხი-ხიდარის გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები ცუდი კლიმატური პირობების მიუხედავად სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს; სამ ობიექტზე: ბორითი-მარიაწყარო-ლორემის გზის რეაბილიტაცია, ცენტრალური ბიბლიოთეკისათვის შენობის რეაბილიტაცია და დაბა ხარაგაულში მშენებარე საავადმყოფოს ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ხელმეორელება გამარჯვებულ კომპანიებთან გაფორმებულია და სამუშაოები უახლოეს დღეებში დაიწყება.

ხარაგაული-ბახალეთის გზის რეაბილიტაციის სამუშაოებზე გამარჯვებულმა კომპანიამ დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვა არ წარმოადგინა. ამჟამად მიმდინარეობს შედგენილი პროექტის განხორციელება და დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვა დაზუსტდება.

დაბა ხარაგაულში არსებული ღია ესტრადისა და ცენტრალური პარკის რეაბილიტაციისათვის თანხის გამოყოფის შესახებ საკითხი გადაწყვეტილია. უახლოეს დღეებში გამოცხადდება ტენდერი სამშენებლო სამუშაოებზე. დაბა ხარაგაულში მშენებარე საავადმყოფოს და მისი მიმდებარე ქუჩების წყალმომარაგების სისტემის მონყობის საპროექტო სამუშაოები დასრულებულია. ზეარის ახალგაზრდული ბანაკის მონყობის საპროექტო სამუშაოებზე ტენდერი გამოცხადებულია.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტს საქართველოს მთავრობის 12 მარტის N 506 განკარგულებით 2015 წლისათვის გამოეყო 767 473 ლარი. მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით ამ თანხიდან 157 473 ლარი გამოათუღია სოფელ კიციხეში საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობისათვის. 610 000 ლარი გადახანიდა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებისათვის რითაც განხორციელდება 124 ინფრასტრუქტურული პროექტი.

პრიორიტეტული მიმართულებები: 1.გზები-160 000 ლარი; 2.ხიდები,ხიდ-ბოგირები-80 000 ლარი; 3.სანიაღვრე დასაკანალიზაციო არხები, საყრდენი კედლები-10 000 ლარი; 4.მრავალბინიანი სახლების რეკონსტრუქცია-50 000 ლარი; 5.წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია-25 000 ლარი;

ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახური კომპეტენციის ფარგლებში შესრულების და განხორციელებას შესაბამის რეაგირებად მუნიციპალიტეტის გამგეობაში შემოსულ მოქალაქეთა განცხადებებზე; ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ გატარდა შესაბამისი ღონისძიებები მუნიციპალიტეტის 35 ობიექტის გამრიცხველიანებისათვის თანხით 20 200 ლარი. სამსახურის თანამშრომლები დებულებით განსაზღვრული უფლება მოვალეობის გარდა ჩართული არიან მუნიციპალიტეტის გამგეობაში არსებულ სხვადასხვა კომისიების მუშაობაში:

- 1.სახელმწიფო შესყიდვების კანონის შესაბამისად შექმნილ კონტროლის ჯგუფში;
  2. სტიქიით დაზარალებულ მოქალაქეთა განცხადებების შემსწავლელ კომისიაში;
- ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობს გამგეობის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან და საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვის და ინფრასტრუქტურის კომისიასთან, ინტენსიური ურთიერთობა აქვს სამხარეო ადმინისტრაციასა და რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან.

2015 წლის 28 აპრილს კომისიამ განიხილა 3 საკითხი.

# ინფორმაცია ხარკაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2015 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

ხარკაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2015 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში განისაზღვრა 1700,2 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურად მიღებულია 1772,6 ათასი ლარის შემოსულობები, შემოსულობებში გამოყენებულია 440,0 ათასი ლარის ფინანსური აქტივების კლება, ანუ ნაშთი, ხოლო მუნიციპალიტეტის შემოსავლები დაგეგმილი 1700,2 ათასი ლარის ნაცვლად მიღებულია 1329,3 ათასი ლარი რაც გასული 2014 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებლებზე 395,9 ათასი ლარით ნაკლებია (2014 წლის პირველ კვარტალში მიღებულია 1725,2 ათასი ლარის შემოსავლები) 2015 წლის შემოსავლების კვარტალური გეგმა შესრულებულია მხოლოდ 78,2 პროცენტით და გეგმის შესრულებას დააკლდა 370,9 ათასი ლარის შემოსავლები.

გადასახადებიდან მუნიციპალიტეტის მიღებული აქვს მხოლოდ 2,6 ათასი ლარი, მათ შორის საწარმოთა ქონების გადასახადი 1,2 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი 0,1 ათასი ლარი და არასასაფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი 1,3 ათასი ლარი;

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერები პირველ კვარტალში დაგეგმილი იყო 1430,3 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებულია ტრანსფერმა შეადგინა 1163,0 ათასი ლარი. ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან, კერძოდ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაგეგმილი 142,0 ათასი ლარიდან მიღებული გვაქვს 52,1 ათასი ლარი,

2015 წლის პირველ კვარტალში გასულ 2014 წლის შესაბამისი პერიოდთან შედარებით სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერების ოდენობა შემცირებულია 230,9 ათასი ლარით, აღსანიშნავია რომ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გათანაბრებითი ტრანსფერი დაგეგმილი 1252,0 ათასი ლარიდან მიღებული გვაქვს 1076,4 ათასი ლარი, აქვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მუნიციპალიტეტისათვის კუთვნილი წლიური ტრანსფერებიდან გათანაბრებითი და მიზნობრივ ტრანსფერებს ყოველთვიურად სტაბილურად გვირიცხვს მუნიციპალიტეტისათვის კუთვნილი თანხის 1/12 –ს და მუნიციპალიტეტს აღებული ვალდებულებების შესრულება უწევს აღნიშნული ტრანსფერების 1/12-ისა და საკუთარი სახსრებით მიღებული შემოსავლების და გადასახადების ხარჯზე, ამასთან შეუძლებელია გათვალისწინებული არ იყოს ის რეალობა, რომ გადასახადები და შემოსავლების ძირითადი სახეები სადავო გადასახადებია და ადგილობრივ ბიუჯეტში ირიცხება უკვე დაწესებული ვადების მიხედვით წლის მეორე ნახევარში, ამასთან იმის გამო რომ მუნიციპალიტეტს ჯერ კიდევ გააჩნია თავისუფალი ნაშთის გამოყენების შესაძლებლობა, საჭირო არ გამხდარა დაგეგმილი ტრანსფერების ჩამორციხვას მოთხოვნა, აქვე უნდა აღინიშნოს რომ მუნიციპალიტეტში მოქმედი ა(ა)იპ-ების მხრიდან გახშირდა მოთხოვნები დაგეგმილი ხარჯების მომდევნო თვეებიდან წინა თვეებში გადმოსატანად, რაც როგორც ზევით იქნა აღნიშნული მხარი შემოსავლებისა და სახელმწიფო ბიუჯეტისა და სახელმწიფო ხაზინის ელექტრონულ მომსახურებაზე გადასვლის გამო შეუძლებელია და საფრთხეს უქმნის მუნიციპალიტეტის ძირითადი მოვალეობის – ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებისა და მოსახლეობის მძიმე სოციალური პრობლემების (მკურნალობა, ერთჯერადი დახმარების განეცა) შემსუბუქებას, ასევე საფრთხეს უქმნის საჯარო მოხელეთა შრომის ანაზღაურების გაცემის სტაბილურობას.

სხვა შემოსავლების გეგმა პირველ კვარტალში განისაზღვრა 261,5 ათასი ლარით, ფაქტიურად კი მიღებულია 163,7 ათასი ლარის სხვა შემოსავლები, ანუ დაგეგმილზე 97,8 ათასი ლარით ნაკლები, ხოლო გასულ წლის შესაბამისი პერიოდთან შედარებით 161,6 ათასი ლარით ნაკლები, აღსანიშნავია რომ 2014 წლის პირველ კვარტალთან შედარებით შემოსავლის თითქმის ყველა სახეში კლება, კერძოდ:

ბანკიდან მისაღები პროცენტები დაგეგმილი 15,0 ათასი ლარის ნაცვლად უკვე მიღებულია 22,4 ათასი ლარი, ე. ი. 7,4 ათასი ლარით მეტი, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ გასულ წლიდან შედარებით ობიექტური მიზეზების გამო შემცირებულია 9,4 ათასი ლარით; დაგეგმილზე ნაკლები შემოსავალი არის მიღებული ბუნებრივი რესურსების სარგებლობის მოსაკრებელი და დაგეგმილი 2,0 ათასი ლარის ნაცვლად მიღებულია 1,6 ათასი ლარი, რაც გასული წლის მაჩვენებელზე 8,5 ათასი ლარით ნაკლებია;

მიწის იჯაროდან მიღებულ შემოსავალი დაგეგმილი 4,5 ათასი ლარიდან მიღებულია 6,8 ათასი ლარი, თუმცა შარშანდელზე 1,4 ათასი ლარით ნაკლები, ჯარიმები, სანქციები და საურავების პირველი კვარტლის გეგმა განისაზღვრა 240,0 ათასი ლარით, ფაქტიურად კი მიღებულია 131,1 ათასი ლარი, ე. ი. 108,9 ათასი ლარით ნაკლები და გასულ წლიდან შედარებით 142,5 ათასი ლარით ნაკლებია.

არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსულია 3,3 ათასი ლარი, აღნიშნულ სახეში შემოსავალი დაგეგმილი არ გვექონდა.

ხარკაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2015 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტი ხარჯების ნაწილში განისაზღვრა 2030,1 ათასი ლარი, ფაქტიურად კი განუხლებია 1700,9 ათასი ლარი, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდში განუხლებ ხარჯებზე 640,6 ათასი ლარით ნაკლებია, 2014 წლის პირველ კვარტალში მუნიციპალიტეტს განუხლები აქვს 2341,5 ათასი ლარის ხარჯი.

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი თანხების ათვისებას, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში სახელმწიფო ფონდებიდან შესასრულებელი იყო სულ 189,4 ათასი ლარის სამუშაოები აქედან, აქედან დელეგირებული უფლებების განსახორციელებლად 36,3 ათასი ლარი, 2013-14 წლების ფონდებიდან დარჩენილი 11,1 ათასი ლარი და მიმდინარე წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი 142,0 ათასი ლარი; ფაქტიურად პირველ კვარტალში სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებით გამოყოფილი სახსრებიდან ათვისებული იქნა 87,6 ათასი ლარის სამუშაო, მ. შ. დელეგირებული უფლებების განსახორციელებლად 30,2 ათასი ლარი და სა-

ქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 57,4 ათასი ლარი, (საქ. მთ.2014 წლის 13.01. #34 განკარგულებით 8,0 ათასი ლარი, 2015 წლის 20. 01. # 39 განკარგულებით 49,4 ათასი ლარი .

ნარმობადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯების დაფინანსებაზე დაგეგმილი 525,4 ათასი ლარიდან განუხლებია 458,3 ათასი ლარი, მათ შორის:

მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესანახი ხარჯები 2015 წლის პირველ კვარტალში განსაზღვრული 155,3 ათასი ლარიდან განუხლებია 135,3 ათასი ლარი და დაფინანსებულია 87,1 პროცენტით. 2014 წლის შესაბამისი პერიოდთან შედარებით საკრებულოს ხარჯები გაზრდილია 27,8 ათასი ლარით, (2014 წლის პირველ კვარტალში საკრებულოს მიერ განუხლებია 107,5 ათასი ლარის ხარჯი) ხარჯების ზრდის მიზეზი არის შრომის ანაზღაურებისა და სადეპუტატო უფლებამოსილების ხარჯების გაზრდა.

მუნიციპალიტეტის გამგეობის შესანახი ხარჯები დაგეგმილი 362,1 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 323,0 ათასი ლარი, 89,2 პროცენტით, 2014 წლის შესაბამისი პერიოდთან შედარებით მუნიციპალიტეტის გამგეობის შესანახი ხარჯები შემცირებულია 19,9 ათასი ლარით (204 წლის პირველ კვარტალში გამგეობის მიერ განუხლებია 342,9 ათასი ლარი) ხარჯების შემცირების ძირითადი მიზეზი არის მატარებელ მომუშავეთა ანაზღაურების ხარჯების შემცირება.

2015 წლის პირველ კვარტალში მუნიციპალიტეტს სარეზერვო ფონდიდან თანხა არ გახარჯულა.

თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოების ხარჯების დასაფინანსებლად დაგეგმილი 102,4 ათასი ლარიდან დახარჯულია 97,3 ათასი ლარი, მ.შ.

სახანძრო-სამაშველო სამსახურის ხარჯებში დაგეგმილი 76,5 ათასი ლარი სრულად არის დახარჯული, აღნიშნული სამსახურის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ხარჯები შემცირებულია 11,8 ათასი ლარით.

თავდაცვის ხარჯები 25,9 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 20,8 ათასი ლარით, ანუ 80,3 პროცენტით, ამასთანავე თავდაცვის ხარჯები გასულ წლიდან შედარებით შემცირებულია 2,0 ათასი ლარით.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია 2015 წლის პირველი კვარტლის შედეგების მიხედვით დაგეგმილი 450,3 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 317,1 ათასი ლარით, რაც გასული წლის პირველი კვარტლის შედეგებზე 101,8 ათასი ლარით ნაკლებია, აღსანიშნავია რომ აღნიშნული სხვაობა მთლიანად გამოწვეულია სახელმწიფო ფონდებიდან შესასრულებელი პროექტების გამო, გასულ წელს ინფრასტრუქტურულ პროექტებს სახ. ფონდებიდან პირველ კვარტალში მოხმარდა 248,6 ათასი ლარი და მიმდინარე წლის პირველ კვარტალში 57,4 ათასი ლარი.

აქედან: 1) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობაზე დაგეგმილი 153,6 ათასი ლარიდან დახარჯულია 70,5 ათასი ლარი, ე. ი. 45,9 პროცენტი, აღსანიშნავია რომ გასული 2014 წლის პირველ კვარტალთან შედარებით საგზაო ინფრასტრუქტურაზე დახარჯულია 220,6 ათასი ლარით ნაკლები.

მათ შორის გზების მშენებლობა, რეკონსტრუქციის მოვლა-შენახვის ხარჯები დაგეგმილი 145,5 ათასი ლარიდან დახარჯულია 62,5 ათასი ლარი, გზების რეაბილიტაცია ხორციელდებოდა საქართველოს მთავრობის 2015 წლის 13.01.#39 განკარგულებით და დახარჯულია 49,4 ათასი ლარი, საკუთარი სახსრებით შესრულებულია 13,1 ათასი ლარის სამუშაოები.

ხიდებისა და ბოგორების შეკეთებაზე მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გეგმით და ფაქტიურად დაიხარჯა გასული წლის პროექტებიდან 8,0 ათ. ლარი.

2) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაციაზე გათვალისწინებული 186,2 ათასი ლარიდან დახარჯულია 173,9 ათასი ლარი, ე. ი. 93,4 პროცენტი, აქედან:

დასუფთავების ღონისძიებების სუბსიდირებაზე და მანანალა ძალბების იზოლაციაზე დაგეგმილი 132,5 ათასი ლარიდან დახარჯულია 123,2 ათასი ლარი, 93,0 %, ამასთან დასუფთავების ხარჯები წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 2,7 -ჯერ ე. ი. 77,9 ათასი ლარით არის გაზრდილი, (2014 წლის პირველ კვარტალში დასუფთავების სუბსიდირებაზე 45,3 ათასი ლარი იყო დახარჯული)

გაერ განათების სუბსიდირებაზე გეგმით და ფაქტიურად განუხლებია 50,7 ათასი ლარი, ხოლო ელექტრო დავრთებისათვის განკუთვნილი 3,0 ათასი ლარი არ დახარჯულა, ვინაიდან აღნიშნული დავრთება განხორციელდა სოფლის მხარდაჭერი პროგრამით განუხლები პროექტებიდან .

საბოლოოდ, 2015 წლის პირველ კვარტალში კო-

მუნალურ ინფრასტრუქტურას გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მოხმარდა 86,3 ათასი ლარით მეტი. 2014 წლის პირველ კვარტალში ამ პროგრამაზე დახარჯულია მხოლოდ 87,6 ათასი ლარი.

3) მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების დასაფინანსებლად პირველ კვარტალში გამოყოფილი 71,5 ათასი ლარიდან 56,5 ათასი ლარი იქნა ათვისებული, აღნიშნული მთლიანად მოხმარდა პარკებისა და სკვერების სუბსიდირებას, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებლებზე 31,5 ათასი ლარით აღემატება.

4) სოფლის მხარდაჭერი პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები 2015 წლის პირველ კვარტალში 26,4 ათასი ლარით განისაზღვრა, რომელიც მთლიანად 2015 წლის პირველი იანვრისთვის არსებული ნაშთიდან იქნა გამოტანილი. ფაქტიურად პირველ კვარტალში მოხერხდა მხოლოდ 16,2 ათასი ლარის დახარჯვა, სოფლის მეურნეობის დაფინანსების პროგრამიდან პირველ კვარტალში თანხები არ დახარჯულა.

განათლებლაზე 2015 წლის პირველ კვარტალში გათვალისწინებული 333,1 ათასი ლარიდან დახარჯულია 314,5 ათასი ლარი და დაფინანსებულია 94,4 პროცენტით, მ.შ. სკოლამდელი განათლების სუბსიდირებაზე დაგეგმილი 280,6 ათასი ლარიდან დახარჯულია 266,5 ათასი ლარი, სკოლამდელ განათლების სუბსიდირებაზე – 24,1 ათასი ლარი, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სუბსიდირებაზე 23,9 ათასი ლარი;

სულ განათლების დაფინანსებაზე მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით განუხლებია 44,8 ათასი ლარით ნაკლები ხარჯი, თუმცა გასული წლის პირველი კვარტლის ხარჯებში 359,3 ათას ლარში 176,3 ათასი ლარი იყო სახელმწიფო ფონდებიდან განუხლები ხარჯი.

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების ხარჯები დაგეგმილი 411,5 ათასი ლარიდან დახარჯულია 346,3 ათასი ლარი და დაფინანსებულია 84,2 პროცენტი, აქედან სპორტის განვითარებაზე 147,5 ათასი ლარიდან დახარჯულია 137,6 ათასი ლარი, საიდანაც სპორტული ღონისძიებების დაფინანსებაზე დახარჯულია 0,2 ათასი ლარი, სპორტული სკოლის სუბსიდირებაზე 60,0 ათასი ლარი, ტურიზმის ცენტრის დაფინანსებაზე 27,7 ათასი ლარი საფუძველთა კლუბ „ჩხვიმლა“-2009“ –ის სუბსიდირებაზე 49,7 ათასი ლარი;

კულტურის განვითარებაზე დაგეგმილი 203,9 ათასი ლარიდან დახარჯულია 198,4 ათასი ლარი და დაფინანსებულია 97,3 პროცენტით, აქედან: სამუსიკო სკოლის სუბსიდირებაზე დაიხარჯა 22,2 ათასი ლარი, ხალხური შემოქმედების სახლის სუბსიდირებაზე 18,4 ათასი ლარი, კულტურის ცენტრის სუბსიდირებაზე 68,3 ათასი ლარი, ცენტრალური ბიბლიოთეკის სუბსიდირებაზე 54,6 ათასი ლარი, ისტორიული მუზეუმის სუბსიდირებაზე 23,0 ათასი ლარი, რ. თაბუკაშვილის სახ. ლიტ. თეატრის სუბსიდირებაზე 11,8 ათასი ლარი. გაზეთ „ახალი ხარკაული“ სუბსიდირებაზე 10,3 ათასი ლარი, ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსებაზე 5,4 ათასი ლარი.

რელიგიის დაფინანსებაზე 2015 წლის პირველ კვარტალში თანხები არ გაცემულა.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე პირველ კვარტალში დაგეგმილი 207,4 ათასი ლარიდან ათვისებულია 167,4 ათასი ლარი, აქედან საზოგადოებრივი ჯანდაცვაზე დახარჯულია 24,5 ათასი ლარი და სოციალურ პრერამებზე დაგეგმილი 176,9 ათასი ლარიდან 142,9 ათასი ლარი, აქედან უფასო სასადილო სუბსიდირებაზე დახარჯულია 29,4 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების მკურნალობის, მედიკამენტებით უზრუნველყოფის და სხვადასხვა სოციალური ფენის მოსახლეობის ერთჯერად დახმარებებზე 106,0 ათასი ლარი, ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახების დახმარებაზე 7,5 ათასი ლარი.

ხარკაულის მუნიციპალიტეტის მიერ 2015 წლის პირველ კვარტალში განუხლები 1700,9 ათასი ლარიდან შრომის ანაზღაურებაზე დახარჯულია 346,3 ათასი ლარი, 20,3 %; მატარებელ მომუშავეთა ანაზღაურებაზე 25,3 ათასი ლარი, 1,9 %; მივიღების ხარჯების ანაზღაურებაზე 2,5 ათასი ლარი, 0,1 %; საოფისე ხარჯების განეცაზე 41,3 ათასი ლარი, 2,4 %; ნარმობადგენლობითი ხარჯების ანაზღაურებაზე 1,5 ათასი ლარი, 0,09 %; სატრანსპორტო ხარჯების ანაზღაურებაზე 30,5 ათასი ლარი, 1,8 %; სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაზე 44,4 ათასი ლარი, 2,6 %; სუბსიდირებაზე 882,4 ათასი ლარი, 51,9 %; გრანტებზე 79,8 ათასი ლარი, 4,7 %; სოციალურ უზრუნველყოფაზე 118,5 ათასი ლარი, 6,8 %; არაფინანსური აქტივების ზრდაზე 128,4 ათასი ლარი, 7,5 %.

საფინანსო-სამეურნეო სამსახურის უფროსი, ვლადიმერ გელაშვილი

## ანგარიში ხარკაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის ანგარიში განუხლები მუშაობის შესახებ 2014 წლის 2015 წლის განვლილ პერიოდში

◀ 333.

1, ხარკაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანდაცვისა და სოციალური საკითხთა სამსახურის მიერ 2014 წელს განუხლები მუშაობის ანგარიში. სამსახურის უფროსმა ნ.კვიციანი ფართოდ გააცნო კომისიას განუხლები მუშაობის, დაფინანსებული პროექტების და შემდგომი გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს სამსახურის განუხლები მუშაობა.

2, მეორე საკითხზე კომისიამ განიხილა ხარკაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანდაცვისა და სოციალური საკითხთა სამსახურის მიერ შემოტანილი ახალი რეგულაციები სოციალურ პროექტებში. საკრებულოს კომისიის ჯანდაცვის მიმართულებით მომუშავე ჯგუფმა რეკომენდაცია მისცა იმ პროექტების დაფინანსების აუცილებლობას, რომელიც ითვალისწინებს მძიმე, ქრონიკული და პროგრესირებადი დაავადებების მქონე მოქალაქეების დაფინანსებას, ასევე აღინიშნა რომ, 100 ლარიანმა დახმარებამ, რომელიც გამოიყოფა მედიკამენტების შესაძენად, მიიღო ცუდი ფორმა და უნდა შეიცვალოს. კომისიის გადაწყვეტილებით ეთხოვა მუნიციპალიტეტის გამგეობას შესაძლებლობის ფარგლებში მოხდეს შედეგი დაავადებების მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

1. შპრიანი დაბეტვი.
2. პარკინსონი.
3. ეპილფესია.
4. ბრონქიალური ასთმა.
5. გლაუკომა.
6. გაფანტული სკლეროზი.
7. ტროპიკული წყლულები.
8. კარდიოქირურგიული ოპერაციების შემდგომი პერიოდი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი. კომისიამ მოისმინა ხარკაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის და მონიტორინგის სამსახურის მიერ განუხლები მუშაობის ანგარიში მიღებულ 13 მაისს გაიმართა კომისიის რეგარემე სხდომა, რომელზეც განვიხილეთ იქნა ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ შემოტანილი ახალი რეგულაცია. ძალიან გაჭირვებული მოსახლეობის ერთჯერადი ფინანსური დახმარების განევის შესახებ. კომისიამ ერთხმად დაუჭირა მხარი აღნიშნულ პროექტს და თანახმაა საკრებულოს სხდომაზე იქნას გატანილი.

საკრებულოს ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გივი თხელიძე

<p><b>გამომავალი</b></p> <p>ხარკაულის მუნიციპალიტეტის განუხლები ა(ა)იპ „ახალი ხარკაული“.</p> <p>მის: ხარკაული, 9 აპრილის ქ. №15, ტელ: 22 10 25; ტირაჟი 1000 ცალი</p>	<p><b>რედაქტორი: ეკა შანიძე</b></p> <p><b>ტელ.: 595 51 98 12</b></p> <p><b>სარედაქციო კოლაში:</b></p> <p><b>თამარ მაღრაძე</b></p>	<p>რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს უკან არ უბრუნდება. გაზეთში დაბეჭდილი მასალებისა და სურათების მთლიანი ან ნაწილობრივი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ რედაქციის თანხმობით. გამოქვეყნებული მასალების სისუსტეზე პასუხს აკისრებს ავტორი. გამოთქმული მასალები შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.</p>
--	---	--